

ადამიანის უფლებათა ეკონომიკური კონვენცია



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ადამიანის

უფლებათა

ეკროპული

კონვენცია

მეთერთმეტე და მეთოთხმეტე ოქმების
დამატებებით

თან ერთგის პირველი, მეოთხე, მეექვსე,
მეშვიდე, მეთორმეტე და მეცამეტე
ოქმები

წინამდებარე კონვენციის ტექსტი წარმოდგენილია 2010 წლის 1 ივნისს ძალაში შესული მეთოთხმეტე თქმის (CETS no. 194) დებულებათა გათვალისწინებით.

კონვენციის ტექსტში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები 1970 წლის 21 სექტემბერს ძალაში შესული მქამარე თქმის

(ETS no. 45), 1971 წლის 20 დეკემბერს ძალაში შესული მქუთე თქმის (ETS no. 55) და 1990 წლის 1 აპრილს ძალაში შესული მერვე თქმის (ETS no. 118) დებულებათა გათვალისწინებით. კონვენცია მოიცავდა, აგრეთვე, მეორე თქმის (ETS no. 44) დებულებებს, რომელიც მისი მე-5 მქონის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენდა

კონვენციის განკუთველ ნაწილს 1970 წლის 21 სექტემბერს მისი ძალაში შესვლის მომენტიდან. კედლი დებულება, რომელიც შეტანილ იქნა ცვლილებები ან დამატებები ზემოაღნიშნული თქმების შესაბამისად, ჩანაცვლებულ იქნა მეთერთმეტე თქმით (ETS no. 155) 1998 წლის 1 ნოემბერს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. მიმდინარე გაუქმდა 1994 წლის 1 თქმითმებრის ძალაში შესული შეცნევ თქმით (ETS no. 140), ხოლო მეათე თქმა (ETS no. 146) ძალა დაკარგა.

კონვენციისა და მისი თქმების ხელმისწერებისა და რატიფიცირების მიმღინარე მდგომარეობას შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ მისამართზე www.conventions.coe.int

შინაარსი

ძალაშიანის უფლებათა და ძალითად თავისუფლებათა დაცვის პრინციპები.....	5
დამატებითი თქმი.....	36
თქმი № 4	40
თქმი № 6.....	45
თქმი № 7.....	49
თქმი № 12.....	56
თქმი № 13.....	60

კონვენციის მხილიდ ინგლისური და ფრანგული ტექსტებია ავთენტური. წინამდებრე თარგმნი არ წარმოადგენს კონვენციის ოფიციალურ ვერსიას.

დამატიანის უფლებათა ეფომული სასამართლო
Council of Europe
F-67075 Strasbourg cedex
www.echr.coe.int

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის პოვენცია

რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი

ქვემოთ ხელმომწერი მთავრობები, არიან რა ეგრობის
საბჭოს წევრები,

თვალისწინებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო
დეკლარაციას, გამოცხადებულს გაერთიანებული ერების
ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10
დეკემბერს;

მხედველობაში იღებენ, რომ ეს დეკლარაცია მიზნად
ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და
ეფუძლიანი აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფას;

მისჩევენ, რომ ეგრობის საბჭოს მიზანია მის წევრებს
შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა, რისთვისაც ერთ-
ერთ საშუალებას წარმოადგენს უფლებათა და ძირითად
თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგრძი ხორც შესხმა;

კვლავც ადასტურდენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი
თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება საყოველთაო
სამართლიანობა და მშენება და, რომელთა საუკეთესო
დაცვა ხორციელდება, ერთი მხრივ, ქვედით პოლიტიკური
დემოკრატიით და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა
საერთო გავლით და უზრუნველყოფით, რასაც ისინი
ემყარებიან;

როგორც მთავრობები იმ თანამთაზრე ეგრობულ
ქვეწებისა, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ტრადიციების,
იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზრუნველყოფის

საერთო შემკვიდრეობა, მზად არიან გადადგან პირებელი
ნაბიჯები საყოფალოთათ დეკლარაციით გაცხადებულ
გარეშეულ უფლებათა ქრონიკით აღსრულებისათვის,
და, თანხმდებან შემდეგზე:

მუხლი 1

ადამიანის უფლებათა დაცულობის გადადებულება

მაგალით სელშემგერელი მსარეების ყველისათვის თავათოთ
ორისძიეცის ფარგლებში უზრუნველყოფებ ამ კონვენციის
I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

კარი I

უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 2

სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება განთხოთ არის
დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განწრის ხელყოფა,
თუ არა სიკვიდილის სასჯელის აღსრულების შედეგად,
რომელიც სასამართლის განაჩენით შეეფარდა მოცემულ
პირის ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც
კანონი თვალისწინებს ამ სასჯელის.
2. სიცოცხლის ხელყოფა არ განხილულება ამ მუხლის
დარღვევებიდან, თუ ის შედეგად მოჰყება ძალის გამოყენებას,
რომელიც აბოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

- a. ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი
ძალადობისაგან;
- b. კანონიერი დაგაფეხისათვის, ანდა კანონიერად
დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვთად;

- c. კანონიერ დონისძიებათა განსხორციელებისათვის
აჯანების ან ამბოხების ჩასახშობად.

მუხლი 3

წამების აკრძალვა

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცორებელი
დასჯა ან მასთან ასეთი მოყრობა დაუშვებელია.

მუხლი 4

მონიბისა და იუდებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონიბაში ან ყმობაში.
2. არავის შეიძლება დაეკისროს იუდებითი ან
საგალდებული სამუშაოს შესრულება.
3. ამ მუხლის გაგებით, „იუდებით ან საგალდებულო
შრომა“ არ განიხილება:

- a. ნებისმიერი სამუშაო, რომლის შესრულებაც
ჩვეულებრივ საგალდებულოა პატიმრობისას,
რაც შეფარდებულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის
დებულებებს შესაბამისად, ან ასეთი პატიმრობიდან
პირობითი თავისუფლების განმავლობაში;
- b. სამუშაო სასამათის ნებისმიერი სამსახური, ან
საგალდებულო სამუშაო სამსახურის ნაცვლად
დაკისრებული სამსახური იმ ქვეყნებში, სადაც
შინაგანი მრწამების გამო სამუშაო სამსახურზე
უარის თქმა მართლზომიერადადა მიჩნეულია;
- c. ნებისმიერი სამსახური, დაკისრებული საგანგებო
მდგომარეობის ან საერთო უბედურების ქაშს,
რაც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლესა და
კეთილდღეობას;

ა. ნებისმიერი სამუშაო თუ სამსახური, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ გაღლებულებებს განეკუთვნება.

მუხლი 5

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყველის აქტის თავისუფლებისა და პირის და უფლება. არაგას შეიძლება აღვეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:
 - a. კანონიერი დაბატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ შეავრცელებული პირისა;
 - b. კანონიერი დაგავება ან დაბატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შესრულებლობისათვის, ანდა კანონით გათვალისწინებული წესისმიერი გაღლებულების შესრულების უზრუნველისაყოფად;
 - c. პირის კანონიერი დაგავება ან დაბატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როგორც არსებობს ამ პირს მიერ სამართლიანობის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვა, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართლიანობის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმაღვის აღკვეთის აუცილებლობა.
 - d. არასრულწლოვანის დაბატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე შასზე აღმზრდელობითი ზედამნებულებისათვის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;
 - e. პირის კანონიერი დაბატიმრება გადამდებარებათა გაფრცელების თავიდან ასაცილებლად,

ან სულით ავადმყოფის, აღკოპოლიკის, ნარკომანისა და მაწანერალის კანონიერი დაბატიმრება;

f. პირის კანონიერი დაგავება ან დაბატიმრება, შეგვანაში მისი უნებართვიდ შესცვლის აღსაგეთად, აგრძელები მისა, ვის მმართაც ხორციელდება ღინისძიებანი მისი გაძევების (დეპორტაცია) ან გადაცემისათვის (კესტრადიცია).

2. დაგავებულ პირს მისთვის ვასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაგავების მაზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი (c) მუნჯით გათვალისწინებულ დეპულებათა შესაბამისად დაგავებული თუ დაბატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მისამართლება ან სასამართლო სელისუფლების განსახორციელებლივ კანონით უფლებამოსილ სხვა მოსეულება და თუ აღჭერავითი უფლებათ, მისი საქმე განისაზღვროს სასამართლოში გონიფრულ გადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განსილების განხავლითაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობებით დაგენერირდება მისი გამომდებარების რაიმე გარანტით.

4. ყველის, ვისაც დაგავებით ან დაბატიმრებით აღმგებეთა თავისუფლება, აქტის უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიღილავს მისი დაბატიმრების საკითხს და ბრძანების მის გათავისუფლების, თუ ქს დაბატიმრება უკანონობა.

5. ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დაგავებს ან დაბატიმრებს, აქტს კომპნენსაციის ქმედითი უფლება.

მუხლი 6

საქმის სამართლიანი განწილების უფლება

1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მთვალეობების, ან მისითვის წარდგენილი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამოირკვების, აღჭურვილია გონიგრულ გადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განწილების უფლებით კინონის საფუძვლზე შექმნილი დამტკიცირებელი და მიმკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება ან იქნება დაშეგბული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ერთგული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრძელება როგორც ამის მთლიანობის არისრულწლოვანის იტერესებია, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს შეაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გაზი, გინადან საქვეყნობა დააზრაობდა მართლმარცებების ინტერესს.
2. ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, გილორ მისი ბრალდებულობა არ დამტკიცირდება კანონის შესაბამისად.
3. ყოველ ბრალდებულს აქნე, სულ მცირე, შეძლები უფლებები:

 - a. მისითვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწერილების გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძვლი;
 - b. ქონდეს საქმიანის დრო და საშუალებანი საჯუთარი დაცვის მთსამზადებლია;
 - c. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამტკიცების შეშეობით ან, თუ მის არ გააჩნია

საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასისდ ასარგებლის ასეთი მომსახურებით ხარჯზე, როდესაც ამის მთავრობის მართლმარცებების ინტერესები;

- ა. თვითონ დაკოთხის ან დააკითხინის მისი ბრალდების მოწმები, და, გამოიახებონოს და დაკითხების მისი დაცვის მოწმები ბრალდების მოწმების თანაბარ მოიხებში;
- მარგებლის თარჯიშის უფსო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოთ სასამართლოში გამოიყენებული ენა ან იღაპარაკოს ამ ენაზე.

მუხლი 7

არაგათარი სახჯელი განონის გარეშე

1. არაენი შეიძლება ბრალდებულიად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში იქთი მოწმებების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგინდა დანაშაულს ერთგულია ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინის. არც იმაზე უყორნ მტკარი სახჯელი შეიძლება შეგაფრილოს ინტერესების გადაწყვეტილი სახჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადების დროს.
2. ეს მუხლი არ კრისებული და მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადების დროსათვის დანაშაულს წარმოადგენდა ციფრილიზებული სახლმშემფოების მიერ აღიარებული სამართლის წოდადი პრინციპების თანახმად.

მუხლი 8

პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

1. ყველას აქნე უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში
საჯარით ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი
შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება
კანონის შესაბამისად და აუცილებელი დემოკრატიულ
საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი
უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის
ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან
ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სწავა
უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 9

აზრის, სინდისხისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქეს აზრის, სინდისხისა და რელიგიის
თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის
შეცვლის თავისუფლებას, აგრძელების, თავისუფლებას
იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქმეენთდ ან
განკრიმიტით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა
აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების
აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება
მნიშვნელოვნების მიღებით შეინტერესდება, თუ ასეთი შეწლუდვა
გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია
დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი
უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი
წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სწავა
უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 10

გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქეს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს
უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს

საკუთარი შენებულება, მიიღოს ან გაავრცელოს
მიზოობრიცხისაც ან დევები საჯარით ხელისუფლების
ჩაურეველად და სახელმწიფო საზღვრების მოქედაგად.
ეს მუხლი გვერ დააბრკილებს სახელმწიფოს, მთაბდინის
რადიამაუწყებლობის, ტელეგაზიანისა და კინემატოგრაფულ
საწარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებამ განხორციელება, რამდენადაც
ისინი განკუთველია შესაბამისი ვალდებულებისა და
პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაუქცემდებარისის
კანონისა დადგენილ ისეთ წესებს, სარობებებს, შეზღუდვებს
ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ
საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული
მოილისობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების
ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ
დააშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის
დაცვის მიზანით, სხვათა უფლებების ან ღირსების
დასაცავად, საიდუმლოდ შილებული ინფორმაციის
გამჭვივების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს
აგტორიტეტისა და მთკრინთებლობის უზრუნველსაყიფად.

მუხლი 11

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქეს შეფიდობისი შეკრებისა და სხვებთან
გაერთიანების თავისუფლებება, მათ შორის, პროფესიული
კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება
საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების
შეწლუდვა გარდა იმ შესხვებებისა, როცა ეს
გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია
დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების
ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის,
უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად,

ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დისაცაგად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, ამ უფლების განსირციელებაზე დააწესოს კანონიერი შეზღუდვები შეიარაღებული ძალების პილიციას ან სახელმწიფო აღმნისტრაციის წარმოშადებენილის მიმართ.

მუხლი 12

ქორწინების უფლება

საქორწინო ასაკის მამაკაცება და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება ერთვნული კანონების შესაბამისად, რომელიც აწესრიგებს ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13

სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალების უფლება ყველას, ვისაც ამ კონკრეტით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა პერნდეს სამართლებრივი დაცვის ქმედით საშუალება ერთვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაითვისოს ბრძანის რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

მუხლი 14

დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონკრეტით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფლია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ბოლიგიტური თუ სხვა შექედუდების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთხითების, ქონებრივი მდგრადი მიმართობის, დაბადებისა თუ სხვა ნაშის განურჩევლად.

მუხლი 15

კონკრეტით გადაწყვეტა საგანგებო მდგრადი მომარტიბის დროს

1. ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგრადი მომარტიბის დროს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მსარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონკრეტით ნაკისრი ვალდებულებიდან გადასვევს მაზნით მხოლოდ იმ ზომით, რომელიც ამის მკურად მოიახოვს მდგრადი მომარტიბის სიმწვავე და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწიააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს.

2. დაუშენებელია წინარე პუნქტის საფუძველზე კონკრეტის მე-2 მუხლით გადასვევა, გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვევული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრძელებული გადასვევა მე-3, მე-4 (პუნქტი) და მე-7 მუხლებიდან.

3. ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მსარე, რომელიც იყენებს გადასვევის უფლებას, ეპრობის საბჭოს გენერალურ მდგრადი აწევის ამიმწურავ ინფორმაციას კატარებული ღონისძიებებისა და შთან შესახებ შესახევ. იგი აგრძელებული ატყობინებს ეპრობის საბჭოს გენერალურ მდგრადი ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონკრეტის დებულებათა სრულად ამოქმედების თარიღს.

მუხლი 16

უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

მე-10, მე-11 და მე-14 მუხლები არ გულისხმონ დაბრკოლებას მაღალი ხელშემკვრელი მსარეებისათვის, დააწეო შეზღუდები უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე.

მუხლი 17

უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ კონფენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმისდექ რომელიმე სახელმწიფოს, ადამიანთა ჯგუფის ან ცალკეული პირის უფლებას, ეწეოდეს საქმიანობას ან ასრულებდეს მოქმედებას, რომელიც გამიზნულია, არარად აქციოს ამ კონფენციის გაცადებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება, ანდა შეზღუდოს იგი იმაზე შეტაც, ვიდრე კაცურივ კონფენციით არის გათვალისწინებული.

მუხლი 18

უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

დაუშვებელია სექტემბერ უფლებათა და თავისუფლებათა კონფენციით წებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნით, რომელიც ისინი გათვალისწინებულია.

გარი II

ადამიანის უფლებათა ეგროტული სასამართლო

მუხლი 19

სასამართლოს დაარსება

მაღალი ხელშემგრელი მხარეების მიერ კონფენციითა და მისი ოქმებით ნაკირი გადადებულებების შესრულების უსრუნველესაყოფად არსება ადამიანის უფლებათა ეგროტული სასამართლო, რომელიც ამიერიდან მოიხსენიება როგორც „სასამართლო“. ის მუდმივმოქმედი ირგანოა.

მუხლი 20

მოსამართლეთა თდენობა

სასამართლოს შემადგენლობაში მდებარეობა რამდენიც არის მაღალი ხელშემგრელი მხარე.

მუხლი 21

სამოსამართლო კრიტიკუმები

1. მოსამართლეს უნდა ახსიათობდეს მაღალი მორალური თვისებები და, ან უნდა აკმაყოფილებდეს მაღალი სამოსამართლო თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ პირობებს, ან წარმოადგენდეს აღიარებული კომპეტენტურობის ქვეინ სამართლმცოდნებს.
2. სამოსამართლო საქმიანობას მოსამართლე ახორციელებს თავისი ინდივიდუალური უფლებამოსილებით.
3. თავისი უფლებამოსილების გადის განსავილიაში მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც შეუთაცხებულია მის დამოუკიდებლობასთან, მოუკერძობლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებით. ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილ კველა საკითხს სასამართლო გადაწყვეტს.

მუხლი 22

მოსამართლის არჩევა

თითოეული მაღალი ხელშემგრელი მხარისაგან მოსამართლეს ირჩევს საბარლამენტო ასამბლეა მაღალი ხელშემგრელი მხარის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატისაგან შემდგარი სიიდან, მიცემულ ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 23

უფლებამოსილების გადა და თანამდებობიდან გათავისუფლება

1. მოსამართლეს არჩევნო ცხრა წლის გადით. მისი ხელისაღია არჩევა შეუძლებელია.
2. მოსამართლეს უფლებამოსილების გადა ეწურება 70 წლის ასაკის მიღწევებისთანავე.
3. თანამდებობაზე მოსამართლე რჩება მის შეცვლამდე თუმცა, ის განაგრძის მასზე გაპიროვნებულ საქმეთა განხილების.
4. არ შეიძლება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, თუ სხვა მოსამართლეების უმრავლესობა ხმათა თრი მესამედით არ გადაწყვეტს, რომ იგი გედარ აღმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 24

სამდინო და მომხსენებლები

1. სასამართლოს აქტის სამდინო, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია განისაზღვრება სასამართლის რეგლამენტით.
2. ერთი მოსამართლის შემადგენლობით საქმის განხილვისას, სასამართლოს თანამდების უწევენ მომხსენებლები, რომლებიც სასამართლოს თაგმადომარენ ქმედებარებიან. ისინი სასამართლოს სამდინოს წევრები არიან.

მუხლი 25

სასამართლოს პლენური

სასამართლოს პლენური:

- ა. არჩევის სასამართლოს თაგმადომარენ და თაგმადომარის ერთ ან ორ შოადგილებს სამი წლით. მათი ხელისაღია არჩევა შესაძლებელია;
- ბ. ქმნის პალატებს განსაზღვრული გადით;
- კ. არჩევის სასამართლოს პალატების თაგმადომარებებს. მათი ხელისაღია არჩევა შესაძლებელია;
- დ. იღებს სასამართლოს რეგლამენტს;
- ე. არჩევის სასამართლოს გამწერილებელსა და მის ერთ ან მეტ მთადგილებს;
- წარადგენს მოთხოვნას 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 26

ერთი მოსამართლის სისტემა, კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. სასამართლოში შემოხულ საქმებს განისილავენ ერთი მოსამართლე, კომიტეტები სამი მოსამართლის შემადგენლობით, პალატები შვიდი მოსამართლის შემადგენლობით და დიდი პალატა ჩვიდმეტი მოსამართლის შემადგენლობით. კომიტეტებს სასამართლოს პალატები ქმნიან განსაზღვრული გადით.
2. სასამართლოს პლენურის მოთხოვნით, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და განსაზღვრული გადით, ხუთ წევრამდე შეამციროს პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა.
3. საქმეს ერთი მოსამართლის შემადგენლობით განხილვისას, მოსამართლეს არ აქტი უფლება განისილოს საჩიფარი იმ მაღალი ხელშემკრებელი მხრის წინააღმდეგ, რომლისგანაც ის მოსამართლედ იქნა არჩეული.

4. მოსამართლე, არჩეული იმ სახელმწიფოსაგან, რომელიც განსახილებულ საქმეზე მხარეს წარმოადგენს, არის პალატის ან დიდი პალატის *ex officio* წევრი. თუ ასეთი მოსამართლე არ არის ან მას არ შეუძლია მოსამართლეობა მიიღოს მოცუმული საქმის განხილვაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს აშ სახელმწიფოს მიერ წინასწარ წარმოდგენდი კანდიდატების სიღაძის სახამართლოს თავმჯდომარის მიერ შერჩეული პირი.
5. დიდ პალატის აკრებავე შეადგენს სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები პალატის თავმჯდომარეები და სახამართლოს რეგლამენტს შეასაბმისად შერჩეული სხვა მოსამართლეები. როცა საქმე განსახილებულად გადაეცემა დად პალატის 43-ე შეხლის საფუძველზე, დიდი პალატის სხდომაში მონაწილეობას გარ მიიღებს გადაწყვეტილების გამომტანი პალატის ვერც ერთი მოსამართლე, გარდა პალატის თავმჯდომარისა და მოსამართლისა იმ სახელმწიფოდან, რომელიც მხარეა მოცემულ საქმეში.

შუხლი 27

ერთი მოსამართლის უფლებამოსილება

- ერთ მოსამართლეს შეუძლია მიუღებლად ცნოს ან განსახილებულ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხოს 34-ე შეხლის შეასაბმისად წარდგენდი ინდივიდუალური საჩივარი, თუ ამგვარი განჩინების მიღება შეაძლებელია საჩივრის შემდგომი გარეშე.
- ეს განჩინება საბოლოოა.
- თუ ერთი მოსამართლე მოუღებლად არ ცნობს ან საქმეთა ნუსხიდან არ ამორიცხავს საჩივარს, ის საქმეს გადასცემს კომიტეტის ან პალატის მოსამართლოს მიღება შეაძლებელია საჩივრის შემდგომი შესწავლის გარეშე.

შუხლი 28

კომიტეტების უფლებამოსილება

- კომიტეტს შეუძლია, ერთხმიერი განჩინებით, 34-ე შეხლის შეასაბამისად წარდგენდი ინდივიდუალური საჩივარი:

 - მიუღებლად ცნოს ან ამორიცხოს განსახილებულ საქმეთა ნუსხიდან, თუ ამგვარი განჩინების მიღება შესაძლებელია საჩივრის შემდგომი შესწავლის გარეშე; ან
 - ცნოს საჩივარი მისაღებად და ამავე დროს გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმის არსებითი მხარის შესახებ, თუ საჩივარში დასტული საკოსტება, რომელიც კონვენციის ან მისი ოქების განმარტებას და გამოყენების ენგაბა, სასამართლოს კარგად დადგენდი პრეცედენტის საგანია.

- 1-ლი პუნქტის თანახმად გამოიტანილი განჩინებები და გადაწყვეტილებები საბოლოოა.
- თუ მოსამართლე, არჩეული იმ ხელშექმენებული მხარისაგან, რომელიც განსახილებულ საქმეზე მხარეს წარმოადგენს, არ არის კომიტეტის წევრი, კომიტეტს შეუძლია, საქმის განხილვის ნებამიერ სტადიაზე, მოსწავლის ეს მოსამართლე, რომელიც კომიტეტის ერთ-ერთი წევრის ადგილს დაიკავებს. ეს გადაწყვეტილება მიიღება ყველა შეასაბმისი ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის იმს მიხედვით, ეწინადაბმდებელდა თუ არა მაღალი ხელშექმენებული მხარე 1-ლი (b) პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენების.

მუხლი 29

**პალატის გადაწყვეტილება საჩივრის მისაღებობისა
და საქმის არსებითი მხარის შესახებ**

- თუ 27-ე ან 28-ე მუხლებით გათვალისწინებული
განხინება, ან 28-ე მუხლით გათვალისწინებული
გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, 34-ე მუხლის
შესაბამისად წარდგენილი ინდივიდუალური საჩივრის
მისაღებობასა და არსებით მხარეს, პალატა ისინავს.
საჩივრის მისაღებობის თაობაზე გადაწყვეტილების
გამოტანა ცალკე შეიძლება.
- პალატა იღებს გადაწყვეტილებას სახლიშვილის
მიერ 33-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი საჩივრის
მისაღებობისა და საქმის არსებითი მხარის შესახებ.
საჩივრის მისაღებობის შესახებ განხინება გამოიტანება
ცალკე, თუ გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლომ სხვა
რამ არ გადაწყვიტა.

მუხლი 30

დიდი პალატისათვის ოურისდიქციის დათმობა

თუ პალატაში განსახილებით საქმე წამოჭრის კონკრენციის
ან მისი ოქმების განმარტებისათვის სერიოზულ საკითხს,
ან თუ პალატის მიერ საკითხის გადაწყვეტას შეიძლება
მიჰკეცის სასამართლოს უწინდელ გადაწყვეტილებასთვის
შეუთავსებული შედეგით გადაწყვეტილების გამოტანაშედე
პალატას შეუძლია თავისი ოურისდიქცია დაუთმოს დად
პალატას, თუ არც ერთი მხარე ამის წინააღმდეგი არ
არის.

მუხლი 31

დიდი პალატის უფლებამოსილება

დიდი პალატა:

- განიხილავს 33-ე და 34-ე მუხლების შესაბამისად
წარდგენილ საქიდებლს, როდესაც მას თავისი
ოურისდიქცია დაუთმო პალატამ 30-ე მუხლის
მიხედვით, ან როდესაც მას საქმე გადაეცა 43-ე
მუხლის საფუძველზე;
- განიხილავს მინისტრთა კომიტეტის მიერ
46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად
სასამართლოსთვის დაქვემდებარებულ საკითხებს; და
- განიხილავს 47-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ
მოთხოვნებს საკონსულტაციო დასკვნის მიცემის
თაობაზე.

მუხლი 32

სასამართლოს ოურისდიქცია

- სასამართლოს ოურისდიქცია გრულდება კონკრენციისა
და მისი ოქმების განმარტებისა და გამოიყენებისთვის
დაგაგშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა
33-ე, 34-ე, 46-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად.
- სასამართლოს ოურისდიქციისთან დაკავშირებულ
ყოველგვარ სადაც საკითხს თავად სასამართლო
გადაწყვეტს.

მუხლი 33

სახელმწიფოთშორისი საქმეები

ყოველ მაღალ ხელშემგორელ მხარეს შეუძლია
სასამართლოში აღმრას საკითხი სხვა მაღალი

ხელშემკვრელი მხარის მიერ კონფენციისა და მისი ოქმების
ნაგულგები დარღვევის შესახებ.

მუხლი 34

ინდივიდუალური საჩივრი

საჩივრით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ნებიმიერმა
ფიზიკურმა პირმა, არასამითაგროვო თრგვინიზაციამ ან
ტალკეულ პირთა ჯგუფმა, რომელსაც მასწინა, რომ
შესჭრდლია რომელიმე მაღალი ხელშემკრევი მხარის
მიერ კონფენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებულ
უფლებათ დარღვევისა. მაღალი ხელშემკრევი მსარეები
კისრულობენ ფალდებულებას, არაფრთ დააბრკილოს ამ
უფლების სრულად განხორციელება.

მუხლი 35

მისაღებობის წინაპირობები

1. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მაშინ მიიღოს
საქმე განსახილებულად, თუ ამიტერულია დაცვის
უფლება შიდასამართლებრივი საშუალება საერთაშორისო
სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გაგებით
და არ არის განული ექსტ თვეზე შეტი საქმეზე შიდა
საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან.

2. სასამართლო მუხლებლად ცნობს 34-ე მუხლის
შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ საჩივრს, თუ ის:

ა. ანთონმურია, ან

ბ. არსებოთად ფიფეა, რაც სასამართლოს მიერ უკვე
განსილები საჩივრია, ან უკვე გადაწყვეტილების
ან მოიგარების სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ
ინსტრუმენტის და შეიცავს ანალ შესატყვის
ფაქტობრივ გარემოებებს.

3. სასამართლო მუხლებლად ცნობს 34-ე მუხლის
შესაბამისად წარდგენილ ინდივიდუალურ საჩივრს, თუ ის
მიიჩნევს, რომ:

- ა. საჩივრი შეუთავსებადია კონფენციისა და მისი
ოქმების დებულებებით, აშკარად უხაფებელობა
ან წარმოადგენს საჩივრის უფლების ბოროტად
გამოიყენება; ან
- ბ. მომზიდას არ განუცდია მნიშვნელოვანი ზოანი,
გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონფენციითა
და მისი ოქმებით განსახილებული ადამიანის
უფლებების დაცვა მოთხოვთ ამგვარი საჩივრის
არსებითი მხარის განხილვას და იმ პირობით, რომ
ზემთაღნიშნული საფუძვლით გერცერთი ის საქმე
ვერ იქნება უარყოფილი, რომელიც კრონული
სასამართლოების მიერ სათანადოდ არ ყოფილა
განხილული.

4. სასამართლო უარის ეტყვების ყველა საჩივრს,
რომელსაც მოედებლად ცნობს ამ მუხლის საფუძვლით.
ამის უფლება მას აქეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

მუხლი 36

მესამე მხარის ჩართვა

- პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილებულ
ყველა საქმეზე, შაღალ ხელშემკრევ მხარეს, რომლის
შოქალაქეც არის მომჩინენი, უფლება აქეს წარდგინის
სასამართლოს წერილობით განმარტება და მონაწილეობა
მიიღოს საქმის მოსმენაში.
- მართლმაჯულების სათანადოდ განსირციელების
მიზნით, წერილობითი განმარტების წარსაღვენად
ან საქმის მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად,
სასამართლოს თავმჯდომარებელ შეუძლია მოიწვოს

მაღალი ხელშემგრელი მსარე, რომელიც არ წარმოადგენს პროცესის მთავრების მოცემულ საქმეზე, ან სწავლას დანართების გენული პირი, რომელიც არ არის მომჩინანი ამ საქმეზე.

3. კერიაბის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისიის უკუღლია წერილობითი შენიშვნები წარადგინოს პალატის ან დიდი პალატის მიერ განსახილებელ ყველა საქმეზე და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომებში.

მუხლი 37

საჩივრის მორიცხვა განსახილებელ საქმეთა ნუსხიდან

1. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია განსახილებელ საქმეთა ნუსხიდან მორიცხოს საჩივრი, თუ გარემოებათა ძალით ის დასკვნის, რომ:

- მომჩინების აღარ აქეს განხრაზებული ბოლომდე მისდღის თავის საჩივრის;
- დაგა გადაწყვდა;
- სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სწავლა მიზეზით, საჩივრის შემდგომი შესწავლა აღარ არის გამართლებული.

თუმცა, სასამართლო მაინც განაგრძობს საჩივრის შესწავლას, თუ კონკრეტითა და მისი ოქმებით განსახლებულ უფლებათა დაცულობა ამას მოიხსოვს.
2. სასამართლოს შეუძლია, აღადგინოს საჩივრი განსახილებელ საქმეთა ნუსხაში, თუ გარემოებათა ძალით ამას გამართლებულად მიიჩნევს.

მუხლი 38

საქმის განხილვა

სასამართლო საქმეს ინიციატივის მხარეთა წარმომადგენლებიან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, შეუდგება საქმის გარემოებათა გამოძიებას, რომლის ქმდითი წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უწრუნველყოფენ მას ყველა აუცილებელი საშუალებით.

მუხლი 39

მორიცხების პროცედურა

- სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, სასამართლო სიაგაზობს დაინტერესებულ მხარეებს თავის სამსახურს საქმეზე მორიცხების მისაღწევდება კონკრეტითა და მისი ოქმებით განსახლებული აღამიანის უფლებების დაცვის სურისგვეთბით.
- 1-დი პუნქტის შესაბამისად წარმართული პროცედურა კონფიდენციალურია.
- თუ მორიცხება მიღწეულია, სასამართლო საჩივრს ამორიცხავს განსახილებელ საქმეთა ნუსხიდან შესაბამისი განჩინებით, რომელიც ფაქტებისა და მიღწეული შეთანხმების არსის მოკლე გადმოცემით შემთხვევარგლება.
- სასამართლოს ზემოსხენებული განჩინება გადაუცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამენედევლობს მასში მოცემული მორიცხების მითობების შესრულებას.

მუხლი 40

და სასამართლო მოსმენა და დოკუმენტების ნებლივიაზღვომთბა

- საქმის სასამართლო მოსმენა დიად, თუ გამონაკლის შემთხვევაში სასამართლომ სწავლა რამ არ გადაწყვიტა.

2. სასამართლოს გამწერითველობის შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, თუ სასამართლოს თავმჯდომარებ სხვა რამ არ გადაწყვიტა.

მუხლი 41

სამართლიანი დაკმაყოფილება

თუ სასამართლო დაასკვინის, რომ დაირღვა კონცენტრით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხელოთ შესაბამისი მაღალი ხელშემქმნელი მხარის შიდა სამართლით დარღვევების მხოლოდ ნაწილობრივი გამოისწორებას შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაქვთვნებს.

მუხლი 42

პალატის გადაწყვეტილება

პალატის გადაწყვეტილება საბოლოო 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.

მუხლი 43

დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა

1. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვეს განმავლობაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს, გამონაკლის შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.
2. დიდი პალატის კოლეგია ხეთი მოსამართლის შემადგენლობით დაეთანხმება ამ მოთხოვნას, თუ საქმე წამოჭრის კონცენტრის ან მისი ოქმების განხარტების ან

გამოცემებისათვის სერიოზულ საკითხს, ან – საერთო მხილებისათვის სხვა სერიოზულ საკითხს.

3. თუ კოლეგია დაეთანხმება მოთხოვნას, დიდი პალატა საქმეზე იღებს გადაწყვეტილებას.

მუხლი 44

საბოლოო გადაწყვეტილება

1. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოო, როდესაც:
2. პალატის გადაწყვეტილება საბოლოო, როდესაც:
 - ა. მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას, ან
 - ბ. პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვეს განმავლობაში მათ არ მოუთხოვიათ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა, ან
 - ც. დიდი პალატის კოლეგია უარყოფს 43-ე მუხლის საფუძვლზე საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნას.
3. საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნდება.

მუხლი 45

გადაწყვეტილებისა და განჩინების დახმატება

1. სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება, რომელიც საჩივარს მისაღებად ან მოუღებლად ცნობს, უნდა დასაბუთდეს.
2. თუ გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთშემიზ აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი.

მუხლი 46

გადაწყვეტილების საფალდებულო ძალა და აღსრულება

1. მადალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, დაქმოწილოთ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმებზე, რომლებმც მანი მხარეს წარმოადგენენ.
2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც წედამნედველობს მას აღსრულებას.
3. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას აღსრულება ყოვნდება გადაწყვეტილების კონმარტებასთვის დაკავშირებული პროცესის გამო, მას შეუძლია სასამართლოს კანკალებისათვის მიმართოს. ეს გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის უფლებამოსილი წევრების ხმათა თრი მეხაჭდით.
4. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მადალი ხელშემკვრელი მხარე უარს ამბობს დაქმოწილოთ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, კომიტეტს უეცელია, ამ მხარისათვის ოფიციალური შეტყობინების უმრედებ და კომიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხმათა თრი მეხაჭდით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მიმართოს სასამართლოს იმს დასადგენად, დაარღვეთ თუ არა ამ ხელშემკრელმა მხარემ 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ფალდებულება.
5. თუ სასამართლო დაადგენს 1-ლი პუნქტის დარღვევებს, ის საქმეს გადასცემს მინისტრთა კომიტეტს მისაღები ზომების განსაზღვრის მიზნით. თუ სასამართლო ასეთ დაარღვევას ეცრ დაადგენს, იგი საქმეს გადასცემს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც წევრებს საქმეთან და კავშირებულ პრიულასთან.

მუხლი 47

საკონსულტაციო დასკვნება

1. მინისტრთა კომიტეტის მთხოვნით, სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნა კონფენციისა და მისი თქმების განმარტების სამართლებრივ საკითხებზე.
2. ამგვარი დასკვნა არ უნდა ვრცელდებოდეს ისეთ საკითხებზე, რომლებიც შეეხება კონფენციის I კრიოთა და ოქტემბრის განსაზღვრულ უფლებათა და თაფისუფლებათა შინაარსსა და მათ ფარგლებს, და არც ისეთ საკითხებზე, რომელთა განხილვა სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტს შესაძლოა მოუწიოს კონფენციის შესაბამისად აღმისული პრიცედურის შედეგად.
3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გამოთხოვის შესახებ მიღება კომიტეტზე დასწრების უფლების შეზოგადების წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 48

სასამართლოს საკონსულტაციო ურისდიქცია

სასამართლოს გადასაწყვეტილი, განეცუთვნება თუ არა მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენადი მთხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ სასამართლოს ურისდიქციას 47-ე მუხლის გაცემით.

მუხლი 49

საკონსულტაციო დასკვნის დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა უნდა დასაბუთდეს.
2. თუ საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მისამართლებრივ ერთშემსრულ მიზანს.

აზრს, ნებისმიერი მოსამართლე უფლებამოსილია, მას დაურთოს ცალკე აზრი.

3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა ეგზაგნება მინისტრთა ქომიტეტს.

მუხლი 50

სასამართლოს შენახვის ხარჯები

სასამართლოს შენახვის ხარჯებს გაიღებს ეგროპის საბჭო.

მუხლი 51

მოსამართლის პრივატულები და მმუნიტეტი

თავისი უფლებამოსილების განხორციელების განმავლობაში მოსამართლე სარგებლობის პრივატულებითა და მმუნიტეტით, რომლებიც განსაზღვრულია ეგროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლითა და მსს საფუძველზე დადგენელი შეთანხმებებით.

გარი III სხვადასწება დებულებები

მუხლი 52

გენერალური მდივნის მთხოვნა

ეგროპის საბჭოს გენერალური მდივნის შესაბამისი მოთხოვნით, ყოველი მაღალი ხელშემქმედი მხარე წარმოადგენს განმარტებას, თუ რა გზით უზრუნველყოფს მის შიდა სამართლი კონფენციის დებულებათა სრულად განხორციელებას.

მუხლი 53

აღიარებულ უფლებათა უზრუნველყოფა

ამ კონფენციის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს მას, რომ მან შეზღუდის ან ხელყოს ადამიანის უფლებანი და ძირითადი თავისუფლებანი, რომლებიც აღიარებულია მაღალი ხელშემქმედი მხარის შიდა სამართლითა ან მისი მონაწილეობით დადგებული ნებისმიერი შეთანხმებით.

მუხლი 54

მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილება

ამ კონფენციის გერცერთი დებულება ვერ ხელყოფს მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებას, რომლითაც ას აღჭურვილია ეგროპის საბჭოს წესდების საფუძველზე.

მუხლი 55

დავის მოგვარების სხვა საშუალებათა უარყოფა

მაღალი ხელშემქმედი მხარეები თანხმდებიან, რომ, საგანგებო შეთანხმების გარეშე, ან მიმართავნ მათ შეთრის მოქმედ ხელშემქმედებებს, შეთანხმებებს ან დეკლარაციებს, რათა ამ კონფენციის განმარტებისა და გამოყენებასთან დაგაგმირებული დავა, საჩიტოის წარდგენის გზით, განსახილებელად დაუქმედებარონ მოგვარების სხვა პროცედურის, გარდა ამ კონფენციით გათვალისწინებულისა.

მუხლი 56

კონფენციის მოქმედება სიფრცეში

1. კონფენციის რატიფიკაციისას ან შემდგომში, ნებისმიერ დროს, ეგროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი

შეტყობინების მეშვეობით, ყოველ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ წინამდებარე კონფენცია, ამ შეხლის შე-4 პუნქტის გათვალისწინებით, ვრცელდება ყველა ან რომელიმე ტერიტორიაზე, რომელის საგარეო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

1. შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე კონფენცია გავრცელდება ეკრანის საბჭოს განვითარების მიერ ამ შეტყობინების მიღების შემდეგ ოცდაშეათ დღიდან.
2. თუმცა, ასეთ ტერიტორიებზე კონფენციის დებულებათა გამოყენება მიხდება ადგილობრივი მოთხოვნების სათანადოთ გათვალისწინებით.
3. თუმცა, ასეთ ტერიტორიებზე კონფენციის დებულებათა გამოყენება მიხდება ადგილობრივი მოთხოვნების საცნობის მიხდებაში.
